

L'anglais : la langue de l'Europe?-არის თუ არა ინგლისური ევროპის ენა?

26 თებერვალი 2013



ამ ბლოგში, კრისტიან კეილინგი, რომელიც ბერლინის „ბრიტანეთის საბჭოს“ წარმომადგენელია, იზიარებს თავის შეხედულებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისური ენა არ არის საკამრისი, რომ სწავლების ერთადერთი ენა იყოს.

გასულ პარასკევს, გერმანიის პრეზიდენტმა იოაჰიმ გაუკმა შეთავაზა ყველას, რომ ინგლისური გამხდარიყო ევროკავშირის ენა. ამ განცხადებამ ერთგვარი გაოცება გამოიწვია ჩემში: რატომ ითქვა ეს? იმიტომ, რომ დაემშვიდებინა ბრინატელები და დაერწმუნებინა ისინი იმაში, რომ ევროკავშირში ისინი მუდამ იქნებიან? თუ გაექარწყლებინა ის შიში, რომელიც გერმანიის სიძლიერის ზრდასთანაა დაკავშირებული? შესაძლებელია, ორივე მიზეზი არსებობდეს, რადგანაც თუ კარგად დავფიქრდებით, ეს ლოგიკურიცაა, რადგანაც:

- სხვა ენებთან შედარებით ინგლისური ენის სწავლა გაცილებით ადვილია (მე თავად ვისწავლე ლათინური და ბერძნული როგორც ძირითადი უცხოური ენები და შევძელი სათანადოდ შემეფასებინა ინგლისური ენა).
- ამჟამად ინგლისური ენა ბიზნესისა და ინფორმაციის ენაა, როგორებიცაა ინფორმატიკული ტექნოლოგიები და ბანკი.
- ინგლისური ენა სასაუბრო ენაა დიდ განვითარებულ ქვეყნებში.

ჩვენ ამას ვეთანხმებით, ოღონდ,

არსებობს სხვა ძლიერი ეკონომიკური მეურნეობის მქონე ახლადწარმოქმნილი ქვეყნები და აშკარაა, რომ იმისათვის, რომ პროდუქცია გაიყიდოს ან მომსახურება შეთავაზო, მათ ენას უნდა ფლობდე და ინგლისური ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის.

ფაქტობრივად, ბაზრები და ქვეყნები კულტურულ ერთიანობას წარმოადგენენ და დარწმუნებული ვარ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის კულტურის გასაგებად, უნდა ვფლობდეთ იმ ქვეყნის ენას, მით უმეტეს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ენა თავად ამ ქვეყნის განწყობას ავლენს.

მეორე მხრივ, ბიზნესი ყველაფერი როდია, მით უმეტეს, როდესაც ევროპაში კრიზისია, მნიშვნელოვანია, რომ ყველა უგებდეს ერთმანეთს. ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარ თავს ნება მივცეთ, რომ საფრთხეში ჩავაგდოთ რომელიმე სტრუქტურა, რომელიც მძიმე ბიუროკრატიული სისტემის მიუხედავად, იმისათვის არსებობს, რომ იზრუნოს მშვიდობის დაცვაზე. ვფიქრობ, რომ სამწუხაროდ, ისეთი ტენდენციაა, რომ სათანადოდ ვერ ვაფასებთ ამ თვალსაზრისს.

ამასთან ერთად, გლობალიზაციისა და თავისუფლი გადაადგილების სამყაროში, სადაც ოჯახები ცხოვრობენ და მუშაობენ საკუთარი სამშობლოდან მოშორებით, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა მშობლიური ენის როგორც მათი იდენტობისა და კულტურის შემადგენელი ნაწილის შესწავლა შეძლონ. საქმე ის როდია, რომ მხოლოდ იმ ქვეყნის ენა ისწავლონ, სადაც ცხოვრობენ და ამგვარად, მარტო ინგლისურად ისაუბრონ.

მაგალითისათვის განვიხილოთ ერთ-ერთი სფერო, რომელიც საკვლევი პროექტის ობიექტია: ესაა განათლება. ის კვლევები, რომლებიც ჩატარდა „*Language Rich Europe*“ ჩარჩოში, გვიჩვენებს ინგლისური ენის აშკარა უპირატესობას როგორც სკოლაში სწავლების ენას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ენობრივ მრავალფეროვნებას. ამგვარად, აუცილებელია, რომ სხვა ენებსაც ინგლისურის მსგავსად მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და შესაბამისად, ისწავლებოდეს სკოლაში.

მაგალითად, იმ სკოლაში, სადაც ჩემი ვაჟი სწავლობს, ასწავლიან შემდეგ ენებს: ინგლისურს, ფრანგულს და ლათინურს. თითოეულ მოსწავლეს შეუძლია თავად აირჩიოს ის თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ამ ენებს შეისწავლის. მე შევძელი ჩემი ვაჟი დამერწმუნებინა იმაში, რომ თავიდან ესწავლა ლათინური, რომ კარგად დაუფლებოდა გრამატიკის საფუძველებს, ასევე იმ ენების გრამატიკას, რომლებსაც ლათინური ენა უდევს საფუძვლად. ალბათ, სამწუხარო იქნება თუ ეს შესაძლებლობა გაქრება.

კონფერენციაზე, რომელიც 5 მარტს შედგება, *Language Rich Europe*-ის ექსპერტები გარკვეულ რეკომენდაციებს შემოგვთავაზებენ ლინგვისტურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით სხვადასხვა სფეროებში როგორებიცაა განათლება, აუდიოვიზუალური მედია და პრესა, საჯარო სამსახურები და ბიზნესი. ისინი წარმოადგენენ პროექტის კვლევის შედეგებს, რომლებიც რა თქმა უნდა შეიძლება გახდეს მრავალი განსჯისა და დებატის საგანი.

გსურთ მონაწილეობა მიიღოთ დებატებში? ფიქრობთ, რომ ინგლისური ევროპის ენა უნდა გახდეს? გააკეთეთ კომენტარები ამ წერილის ბოლოში ან **tweet:** [@LanguageRich](https://twitter.com/LanguageRich) გაგვიზიარეთ თქვენი აზრი.